1 (13) მაისს 1869. № 18. მეოთხე ელიფადი:

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გაზეთის ფასი

Გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:	Გაუგზავნელათ:
Ერთის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

Ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში
Ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контóру редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

Რედაქციის განცხადება.—**Რ**უსეთის ამბები.—**Პ**ოლიტიკა:—**Ა**ნგლია.—**პ**რუსსია.—**Ი**ტალია.—**ბ**ელგია.—**ა**მერიკა.—**ტ**ელეგრამმები.—**უ. პ. ი**ოსელიანის წინადადება წიგნების ბეჭდვაზე.—**წ**ერილები **პ**ეტერბურლიდან.—**ს**ხვა და სხვა ამბავი.—**ს**ავაჭრო ცნობები.—**ს**აბიბლიოგრაფო ცნობები.—**ა**ერძოობითი განცხადებაები.—

რედაქციის განცხადება.

Rადგან „დროების“ რედაქტორი თავის საჭიროებისათვის მიდის **პ**ეტერბურგს, იმის მაგიერად დროებით რედაქტორობა გაზეთისა იკისრა უფ. **მ**ესხმა.

Rედაქციას მოსდის ხშირად თავის გარეშე თანამშრომელებისაგან ხელმოუწერელი სტატიები და ამის გამო უჭირს ამ რიგი სტატიების დაბეჭდვა, რადგანაც ავტორის სახელი საჭიროა რედაქციისათვის ყოველ შემთხვევაში. **უ**მორჩილესად ვთხოვთ ჩვენ გარეშე თანამშრომელებს შემდეგში მოაწერონ თავიანთი სახელი, გვარი და ცხოვრების ადგილი. **ა**ვტორს, რასაკვირველია, შეუძლია თხოვოს რედაქციას, რომ მათი სახელი არ იყოს გაზეთში გამოცხადებული.—

ფაშა — მწყემსი.

ოსმალური არაკი თხზ. **ლ**აბულესი.
(**დ**ასასრული).

ალი შევარდა ერთ დანგრეულ სახლში და, დაღამებამდი იქ იყო დამალული. **ა**მ შემთხვევის შემდეგ **დ**ამასკში დარჩენა იმას არ შეეძლო. **მ**ეორე დღეს გათენებამდე **ა**ლიმ და **თ**ვალის-ჩინმა გასწიეს მთებისაკენ. **ს**ამი დღე იარეს ისე, რომ არსად არ შეჩერებულან; სამი დღე იმათ ყურძნის და წყლის მეტი არა ჩაუდვიათ რა პირში. **ხ**ანდისხან სიღარიბეც კარგია: არასოდეს არც **ა**ლის და არც მის ქალს არ უჭამიათ საუკეთესო საჭმელები ისე მადიანათ, როგორც ეხლა ყურძენს სჭამდენ.—**ბ**ოლოს ისინი მიადგნენ ერთ კეთილგულიან გლეხს, რომელმაც კარგა მიიღო ისინი და ნავახშმევს ჰკითხა: სადაური ხართ, ან სად მიდიხართო და სხვ. **ა**ლი, რასაკვირველია, მოუყვა ყოველ თავის გარემოებას. **მ**ასპინძელმა უთხრა, ჯოგი მყავსო და თუ გინდა მწყემსად დამიდექიო. **ო**ცი ცხვრისა და ოციოდ თხის მწყემსობა არ არის ძნელი, ნამეტურ **მ**აშინ, როდესაც მწყემსის თანამდებობას უფრო ძაღლები ასრულებენ. **ა**მას გარდა იმას არავინ სცემდა მაინცა და ყველი და ერბო რამდენიც უნდოდა იმდენი ექნებოდა; თუმცა ჯამაგირი არ შეაძლია მასპინძელმა არც ერთი ფარა, მაგრამ **თ**ვალის-ჩინს მისცა ნება მატყლიდან რამდენიც დასჭირდება იმას და მამა მისს ისარგებლოს.—**ა**ლის მეტი რა გზა ჰქონდა, რომ არ დათანახმებოდა. **მ**ეორე დღესვე იმან წაირეკა წინ ჯოგი, წაიყვანა თან **თ**ვალის-ჩინი და ძაღლები, და გასწია მთებისაკენ.

ალის მოაგონდა ძველი დრო: წამოწვა ნაზათ თივაზე, დაიწყო ჩიბუხის წევა და უყურებდა ფრინველებს, რომლებიც მას დატრიალებდენ თავზე ჰაერში. **ს**აწყალი **თ**ვალის-ჩინი კი ასე გულ-გრილად ვერ ითმენდა თავის დამცირებას; ის, თითისტრით ხელში, მატყლის

რუსეთის ამბები.

ქიევის გაზეთში სწერია რომ, როგორც ამბობენო, **პ**ეტერბურგის სტუდენტებს მიუწვევიათ აქაური (კიევის) სტუდენტებიცა, რათა ამათაც მოეხდინათ არეულობა, მაგრამ, რამდენიმე სტუდენტების მეტს, არავის მიუღია ამ საქმეში მონაწილეობაო, ამბობს გაზეთი, და მთავრობამაც თავიდანვე მიიღო არეულობის მოსასპობელად ჯეროვანი საშუალება; ამის გამო კიევის (წმ. **ვ**ლადიმირის) უნივერსიტეტში უწესოება არ მომხდარა.—

„**მ**ოსკოვის **უ**წყებაების“ სიტყვებით პროკლამაცია, რომელსაცა **პ**ეტერბურლის სტუდენტებს მიაწერენ, **ხ**არკოვშიაც გავრცელდა, მაგრამ იქაურ სტუდენტებზე იმას არა ჰქონია ზედმოქმედება და არეულება არ მომხდარა.—

სამხედრო მინისტრის ბრძანებით 3 აპრილიდან დაიწყეს ისევ საექიმო-ხირურგიის აკადემიაში ლექციების კითხვა მეოთხე კურსის სტუდენტებისათვის.—

„**პ**ეტერბურგის **უ**წყებაები“ გვაცნობებენ, რომ იქაური **ო**ლქის **ს**ასამართლოს პროკურორის ამხანაგი, რომელიც იყო გაგზავნილი **მ**არშანსკში **ს**კოპცების საქმეზე, დაბრუნდა იქიდან და გარდასცა გათავებული გამოძიება სისხლის **ს**ამართლის **პ**ალატაში.—

„**მ**ოსკოვის **უ**წყებაებში“ სწერია: საექიმო **ა**კადემიაში დანიშნულმა კომმისიამ, რომლის თავსმჯდომარეთა ქოზლოვი იყო, გარდასწყვიტა, რომ რვა სტუდენტი გამოირიცხოს, ექვსი—დაითხოვეს და რამდენიმე, ამბობენ ოცამდინ, კარგა ხნობით დაატუსაღეს. **ა**მ კომმისიის წევრებათ იყვნენ ოთხი პრაფესორები, უფ. **ბ**როკი (სამხედროს მინისტრის ადიუტანტი) და **პ**ოლკოვნიკი **ს**ვერჩკოვი (ჩინოვნიკი **პ**ეტერბურგის ობერ **პ**ოლიცმეისტრისა).

ოდესსა, **ა**პ**რ**ილის 3-ს. „**ო**დესსის **უ**წყებაში“ სწერენ, რომ დღეს აქ გაიხსნა ახალი სასამართლოებიო.

5 საათზე 280 კაცამდე იყვნენ კეთილშობილთ კრების ზალაში, მიწვეულნი სადილზე, რომელიც იყო გამართული ახალი სასამართლოების გახსნის გამოთ.

პოლიტიკა.

ანგლია.

ანგლიაში ძლიერ ბევრს ლაპარაკობენ **პ**აუპერიზმზედ (სილარიბეზედ), რადგან იქ არიან ძლიერ ბევრნი და მეტათ-მეტნი ღარიბები. **ბ**ანათლებული ანგლიელები ეძებენ, რაც შეიძლება საშუალობას, რომ შეამსუბუქონ ღარიბების სვე; ისინი ურჩევენ ღარიბებს გარდასვლას, კოლონიებში სადაც მუშები საჭირო არიან და შემწეობასაც აძლევენ. **ი**მათ შესაწევნად შესდგა უკანასკნელ დროში **ა**ნგლიაში ბევრნი საზოგადოებანი. **ე**ხლა ქოლონიებმა (სხვა ქვეყნებში რომელიმე სახელმწიფოს მამული) დაიწყეს ჩივილი, რომ ამდენ ღარიბების ჩვენში გარდმოსახლებას შეუძლია ჩვენ დაგვაღარიბოსო და ჩვენშიც გაჩნდება პაუპერიზმიო და პროლეტარიატი (უმიწა-წყლო კაცი). **ლ**ორდ **ბ**უტტონმა მოითხოვა **ლ**ორდების პალატაში, რომ პაუპერიზმის მოსპობის საშუალობის მოსანახავად დაწესდეს ცალკე კომმისსია. **მ**მართებლობის წარმომადგენელ პირებმა უპასუხეს **ბ**უტტონს ამაზე, რომ მმართებლობა არ გაერევა ამ საქმეში, რომ მართლა ისე არ გამრავლებულა

ფაშა — **მ**წყემსი.

ოსმალური არაკი თხზ. **ლ**აბულესი.
(**დ**ასასრული).

ალი შევარდა ერთ დანგრეულ სახლში და, დაღამებამდი იქ იყო დამალული. **ა**მ შემთხვევის შემდეგ **დ**ამასკში დარჩენა იმას არ შეეძლო. **მ**ეორე დღეს გათენებამდე **ა**ლიმ და **თ**ვალის-ჩინმა გასწიეს მთებისაკენ. **ს**ამი დღე იარეს ისე, რომ არსად არ შეჩერებულან; სამი დღე იმათ ყურძნის და წყლის მეტი არა ჩაუდვიათ რა პირში. **ხ**ანდისხან სიღარიბეც კარგია: არასოდეს არც **ა**ლის და არც მის ქალს არ უჭამიათ საუკეთესო საჭმელები ისე მადიანათ, როგორც ეხლა ყურძენს სჭამდენ.—**ბ**ოლოს ისინი მიადგნენ ერთ კეთილგულიან გლეხს, რომელმაც კარგა მიიღო ისინი და ნავახშმევს ჰკითხა: სადაური ხართ, ან სად მიდიხართო და სხვ. **ა**ლი, რასაკვირველია, მოუყვა ყოველ თავის გარემოებას. **მ**ასპინძელმა უთხრა, ჯოგი მყავსო და თუ გინდა მწყემსად დამიდექიო. **ო**ცი ცხვრისა და ოციოდ თხის მწყემსობა არ არის ძნელი, ნამეტურ **მ**აშინ, როდესაც მწყემსის თანამდებობას უფრო ძაღლები ასრულებენ. **ა**მას გარდა იმას არავინ სცემდა მაინცა და ყველი და ერბო რამდენიც უნდოდა იმდენი ექნებოდა; თუმცა ჯამაგირი არ შეაძლია მასპინძელმა არც ერთი ფარა, მაგრამ **თ**ვალის-ჩინს მისცა ნება მატყლიდან რამდენიც დასჭირდება იმას და მამა მისს ისარგებლოს.—**ა**ლის მეტი რა გზა ჰქონდა, რომ არ დათანახმებოდა. **მ**ეორე დღესვე იმან წაირეკა წინ ჯოგი, წაიყვანა თან **თ**ვალის-ჩინი და ძაღლები, და გასწია მთებისაკენ.

ალის მოაგონდა ძველი დრო: წამოწვა ნაზათ თივაზე, დაიწყო ჩიბუხის წევა და უყურებდა ფრინველებს, რომლებიც მას დატრიალებდენ თავზე ჰაერში. **ს**აწყალი **თ**ვალის-ჩინი კი ასე გულ-გრილად ვერ ითმენდა თავის დამცირებას; ის, თითისტრით ხელში, მატყლის

რთვის დროს, ხშირად ოცნებობდა თავის უწინდელ უზრუნველ ცხოვრებაზე.

— **მ**ამა! რა სასიამოვნოა სიცოცხლე, თუ მუდამ სიღარიბეში უნდა იყოს კაცი? **ა**მბობდა **თ**ვალის-ჩინი.—ამდენ წვალებას, ის არა სჯობია, ბარემ ეხლავ რომ მოვკვდებოდეთ?!..

— **ღ**მერთი სულგრძელია, შვილო! **უ**პასუხა მამამ. **უ**სამართლოთ ის არრას იქს. მე ვსცხოვრობ ეხლა უშფოთველად და მოსვენებით; მოხუცებულისათვის ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს? **ო**ხ! მე რომ რამე ხელობა ვიცოდე! შენ კი ჯერ ახალგაზდა ხარ და იმედი უნდა გქონდეს, რომ, ადრე იქნება თუ გვიან, ბედი მოგიბრუნდება.

— **მ**ე ვემორჩილები ჩემ ბედს! **ხ**ენეშით უთხრა **თ**ვალის-ჩინმა.

ამ გვარ მდგომარეობაში **ა**ლი და მისი ქალი იყვნენ ერთის წლის განმავლობაში. **ე**რთხელ იქაური ფაშის შვილი წავიდა მთებზე სანადიროდ.—

ნადირობაში ფაშის შვილს გზა დაბნეოდა და მის მოსაძებნად წყლის ნაპირს მიჰყვებოდა; უეცრად ერთ ადგილს იმან დაინახა ერთი ახალგაზდა ქალი, რომელსაც ფეხები წყალში ჩაეწყო და თმას იწნავდა. **დ**აინახა თუ არა ეს მშვენიერი ქალი, **უ**სუფმა (ფაშის შვილის სახელია) უნებლიედ დაიყვირა. **თ**ვალის-ჩინი შეკრთა; იმას შეეშინდა უცნობი კაცისა და მიაშურა მამას.

— **მ**თის—ველური ვარდი სჯობია ბალისას, იფიქრა **უ**სუფმა. **ე**ს მთის ქალი ბევრად სჯობია ჩვენ ხონთქრის ცოლებსა. **ა**ი ის ქალი, რომელზედაც მე მუდამ ვფიქრობდი!—**პ**რინცი გაედევნა უკან მშვენიერ ქალს და ბოლოს მიაგნო იმას; **თ**ვალის-ჩინი წველიდა ძროხას; მამამ გაუძახა ძაღლებს, რომლებიც გაცხარებულად უყეფდენ პრინცს. **უ**სუფმა უთხრა **ა**ლის, გზა დამებნაო და საშინლად მწყურიაო;—**თ**ვალის-ჩინმა მოუტანა **უ**სუფს თიხის სტაქნით რძე; **უ**სუფი სვამდა ნელ-ნელა და თან შეჩერებოდა ხან მამას და

ხან მის ქალს. **ბ**ოლოს იმან სთხოვა **ა**ლის, რომ გზა ეჩვენებინა; **ა**ლი გაჰყვა ორი ძაღლით და მალე ათრთოლებული დაბრუნდა: **უ**სუფმა აჩუქა იმას ერთი ოქრო; აქედან სჩანს, რომ ის იყო ან ხონთქრის აფიცარი, ან, იქნება, თითონ ფაშა; **ა**ლის აზრით ფაშა, თუ ავნებს კაცს, თორემ სიკეთეს არასოდეს არავის არ დააკლის; **მ**აშა სადამე-ფაშის მეგობრობაც ისე საშიშიაო, როგორც დამტერება.—

უსუფი, რომ დაბრუნდა შინ, მივარდა დედას, მოეხვია ყელზე და ეუბნებოდა, რომ ის თექვსმეტის წლის ქალწულივით მშვენიერია, რომ მარტო ისაა მისი მანუგეშებელი, რომ ქვეყანაზე დედისთანა **უ**სუფს არავინ უყვარს და სხ. ამ სიტყვებთან ის კოცნიდა დედას ხელებზე. **დ**ედამ გაუღიმილა და უთხრა:

— **ჩ**ემო შვილო, შენ გინდა, მგონია, რამე საიდუმლო მითხრა; მითხარი, რას უყურებ, მე არ მგონია, რომ ისე კარგი ვიყო, როგორც შენ მეუბნები, მაგრამ ის კი ვიცი, რომ შენ ჩემისთანა მეგობარს ძვირად მონახავ! **უ**სუფმა იმ წამს უამბო ყველაფერი, რაც ნახა და რასაც შეხვდა მთებში, იმან აუწერა მშვენიერად **თ**ვალის-ჩინი და გამოუცხადა, რომ უიმისოდ იმას ცხოვრება არ შეუძლია, რომ ის მოკვდება, თუ ხვალვე არ დაიწერა იმ მშვენიერ ქალზე ჯვარი და სხ.—

— **ო**ტა მოთმინება იქონიე, უთხრა დედამ; ჯერ ვნახოთ რა მშვენიერებაა ის ქალი და მერე მამაშენსაც უთხრათ და ისიც დავითანხმოთ ამ ქორწილზე.—

ფაშამ რომ ეს ამბავი შეიტყო, ძლიერ გაცხარდა.—**ვ**ილაც მწყემსის ქალი რო არ მოენახა, განა ოტა იპოებოდა **დ**ამასკში ლამაზი და მდიდარი ქალები?! **ა**მბობდა **უ**სუფის მამა.—**მ**ავის დღეში არ ელირსება ჩემი შვილი ჩემგან ლოცვა კურთხევას, თუ იმ მთიულ ქალზედ დაიწერა ჯვარი.—

აეთილგონიერმა კაცმა არასოდეს არ უნდა წარმოსთქვას ოჯახში, რომ ამა და ამ საქმეს ჩემ დღეში არ ვიქო, თუ ის დარწმუნებულია,

რომ ცოლი და შვილი მისი წინააღმდეგი იქნებიან.—**ე**რთი კვირის ცოლის ტირილმა და შვილის სიყვითლემ ფაშა იქომამდი მიიყვანეს, რომ ის დაეთანახმა შვილის თხოვნას და მისცა **თ**ვალის-ჩინის შერთვის ნება. **მ**აგრამ, რადგან ძლიერ თავმოყვარე კაცი იყო, იმას კი ამბობდა, რომ სისულელეს ვშერებიო. **რ**ო ნებას ვაძლევო.—

— **დ**აე შეირთოს ჩემმა შვილმა მწყემსის ქალი, სთქვა ფაშამ, მე ამ საქმეში პასუხის მგებელი არ ვიქნები; არ მენაღვლება. **ძ**ნას **უ**სუფმა სისულელე! **ა**მ სასაცილო საქმის მოხერხება მარტო ჩვენ ხუმარას შეუძლია. **ზ**ავიდეს ხუმარა და მოიყვანოს ის საძაგელი მწყემსის გოგბიო, რომელსაც მოუჯადავს ჩემი ვაჟი.

ერთი საათის შემდეგ კუზიანი ხუმარა, ეირზე შემჯდარი, მიდიოდა მთებისაკენ და თან სწყევლიდა ხან ფაშას და ხან **უ**სუფს, რომ ის ისე ნაზად გაზრდილი, ესეთი ჭკუიანი და კეთილშობილი კაცი, გაგდეს ამისთანა სიცხეში და მტვერში ვილაც ოხერი ქალის მოსაყვანად! **ა**ბა ეს არის ბედი! **ბ**ედი ხშირად აამაღლებს ხოლმე უტვინო სულელს, დაამდაბლებს გენიოსს, რომელიც ლუკმა პურისათვის იძულებულია ხუმარათ გახდეს.

სამი დღის შემდეგ დაქანცულმა და დამტვრეულმა ხუმარამ როგორც იყო მოძებნა **ა**ლი, რომელიც, ცხვრების ყურის გდების ნაცვლად, ნაზად წამოწოლილიყო ერთ ხის ქვეშ და სწევდა ჩიბუხს. **დ**აინახა თუ არა **ა**ლი, ხუმარამ-ჭკრა დეზები ეირსა და ეითარცა ვეზირი—თავ მომწონეთ, მიჰმართა იმისაკენ.

— **ე**ი! **შ**ენ, მხეცო! **უ**თხრა ხუმარამ. **შ**ენ მოსჯადოე ფაშის **შ**ვილი! **ის** გაბედნიერებს **შ**ენ, გესმის? **შ**ენი ქალი უნდა **შ**ეირთოს. **წ**ადი საჩქაროთ გაბანე **შ**ენი მარგალიტი და მომგვარე აქ; ეხლავ **დ**ამასკში უნდა **წ**აიყვანო. **შ**ენ კი ეს ფულიანი პარკი გამოგიგზავნა ფაშამ და გიბრძანა—ეხლავ გამეცალე ჩემ საფაშოდანაო.

ᲐᲜᲒᲚᲘᲐᲨᲘ ხალხი, რომ ისინი სამუშაოს აქ-ვე ვერ შოულობდნენ.—

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ 19-ს. ᲰᲥᲝᲜᲓᲐ სხდომა ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲡ; ამ სხდომაზე უფ. მონკმა ჰკითხა ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ მინისტრის ამხანაგს, მართლა დასაჯესო ᲙᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲑᲔᲚᲐᲓᲔᲑᲘ თხუთმეტის წლის კატორგაში გაგზავნით, როგორც ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲘᲡ გაზეთი „Levant Herald“ ამბობს, თუ არაო? ᲣᲤ. ᲝᲢᲕᲔᲘᲛ უპასუხა, რომ ის გაზეთი ᲪᲝᲢᲐ ᲢᲧᲣᲘᲡ ამ საგანზეო; ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ მმართებლობამ გამოაცხადა ამნისტია (პატიება) ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ვინც კი დადებულს ვადამდე თოფ-იარაღს დასდებდა; ვინც ამ ვადის მერე დაიჭირეს თოფ-იარაღით, ისინი ახლაც ციხეში არიან დამწყვდეულნი. ᲔᲡᲔᲜᲘ სამხედრო სასამართლოს უნდოდა დაესაჯა სიკვდილით, მაგრამ სასჯელი მერე უფრო გაუადვილეს—სამუდამო ციხეში დატყვევებით. ᲔᲮᲚᲐ დიდმა ᲕᲔᲖᲘᲠᲛᲐ აცნობა უფ. ᲔᲚᲘᲝᲢᲡ, რომ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲢᲧᲕᲔᲔᲑᲡ ამ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲐᲜᲨᲘ გამოუშვებენო.

ᲞᲠᲣᲡᲘᲐ.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ 22-ს. ᲐᲛ უკანასკნელს დროს ᲞᲠᲣᲡᲘᲐᲨᲘᲐᲪ მუშები განდგნენ და მუშაობას არ ჰკიდებენ ხელსა. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲮᲣᲠᲝᲔᲑᲛᲐᲪ დაანებეს თავი მუშაობას. ᲥᲔᲜᲘᲒᲡᲑᲔᲠᲒᲨᲘ აპრილის 15-ს შეიყარნენ ბევრი მუშები სამოქალაქო სამმართველოს სახლის წინ და თხოულობდენ სამუშაოს, ხარჯის დაკლებას და უცხო ქალაქებიდგან მოსული მუშების გაყრას. ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ დაჰპირდა იმათ, თქვენ თხოვნას წარუდგენ მმართებლობასაო. ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲐ კი არ იყო, მაგრამ მუშებში კი დიდი ჩოჩქოლი არის.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ.

ᲤᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲐ 18 აპრილს.—ᲑᲣᲨᲘᲜ და ᲓᲦᲔᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ იყო სჯა სამღვდელოების სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებაზე. ᲦᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲚᲐᲛᲐᲠᲛᲝᲠᲐ და დეპუტატი მასსარი ამტკიცებდენ, რომ სამღვდელოება განთავისუფლებული უნდა იყოსო ვალდებულ სამხედრო სამსახურიდანაო; მენაბრეა კი მათ წინააწმდეგ ამბობდა, რომ სამართლიანობა არ მოითხოვს ამას, რადგან კანონის წინ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ თანასწორნი არიანო. ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲛ გარდაწყვიტა, რომ სამღვდელოების სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება უსაფუძვლო საქმე იქნებაო და ამოარჩია კომიტისია ამ საქმეზე კანონების დასადებად.—

ᲠᲝᲛᲘ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ 20-ს. ᲐᲥᲐᲣᲠᲘᲒ ᲖᲔᲗᲔᲗᲔᲑᲘ არ ამართლებენ იმ ცნობას, რომელიც გვაცნობა ᲕᲔᲜᲘᲡ გაზეთმა „Presse“, რომ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ხელმწიფემ-ᲕᲘᲥᲢᲝᲠ-ᲔᲛᲜᲣᲔᲚᲛᲐ გამოუგზავნა ᲞᲐᲞᲡ თავისი ხელით დაწერილი მილოცვის წიგნიო, რომლითაც ის ულოცავდაო მას მისს 50 წლის იუბილეის დღესა.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲠᲐᲜᲢᲛᲐ შეერთებული შტატების ელჩად ქ. ᲖᲐᲘᲢᲨᲘ ერთი ᲜᲔᲒᲠᲘ (ზანგი) დანიშნა.

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ.

12 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ. ქ. ᲡᲔᲠᲐᲜᲒᲨᲘ მეხანიკური და ჩამომსხმელი ზავოდების მუშებმ შეიკრიბენ და მოახდინეს დიდი არეულობა; ისინი იყვნენ სულ 6,000 კაცამდე და დაუწყეს ფაბრიკების პატრონებს და პოლიციას მუქრობა. მეორე დღეს ამათ მიემატათ კიდევ საქვის-ნახშირეს მუშები; ასე რომ ᲯᲐᲠᲘ უნდა გარეულიყო ამ საქმეში; რამდენიმე კაცი დაიჭრა. ᲔᲮᲚᲐ კიდევ ᲕᲘᲜᲘᲐᲗ არეულობისა.—

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ მიღებული)

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 15 (27) ᲐᲞᲠᲘᲚᲡ. ᲓᲦᲔᲡ იმპ. ნაპოლეონმა მოაწერა ხელი დეკრეტს, რომლით ამომრჩეველთ კრებაები მოიწვევიან ᲥᲐᲜᲝᲜ-მდებელ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ დეპუტატების ამოსარჩევად 23 და 24 მაისისთვის.

ᲤᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲐ. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ვითომ ზოგიერთი ᲝᲠᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ (მართებლობის წინააღმდეგი) დეპუტატები ამორჩეულ იქმნებიან მინისტრებათაო; მაგ. უ. ᲤᲔᲠᲠᲐᲠᲘᲡᲘ—ᲨᲘᲜᲐᲒᲜᲘ საქმეების და ᲛᲝᲠᲓᲘᲜᲘ—ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ—მინისტრებათ.

Უ. ᲙᲚ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲕᲐᲖᲔ.

ᲐᲛ წლის „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ მეცხრე ნომერში წავიკითხეთ განცხადება უფ. ᲞᲚᲐᲢᲝᲜ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡᲐ ქართულ წიგნების ბეჭდვაზე. ᲐᲛᲐᲡ შემდეგ „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲕᲔ“ 11, 12 და 14 ნომრებში წავიკითხეთ უფ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ წინადადებაზე გრძელი ლაპარაკი. ᲕᲘᲓᲠᲔ წავიკითხავდით ბოლომდის ამ სამსავე ნომერში უფალის Დ—ის სტატიებსა, გვეგონა მართლა და ერთ რასმე ჰაზრს შეგვატყობინებს ქართულ წიგნების ბეჭდვაზე: აღმოსჩნდა რომ უფალი Დ—ი ლაპარაკობს არა თუ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ წინადადებაზე, არამედ იმაზე, რომ როგორის ენით არის დაწერილიო ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ის წინადადება.

ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ უკანასკნელ ნაწილში მხოლოდ ერთი სანიშნო ჰაზრია ᲞᲚ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲖᲔ, რომელიც მართალია, ესე იგი რომ უფ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ სცდება, როდესაც ამბობს, ვითომც ქართული მწერლობა შედგა 1853 წლიდგან აქამომდე. ᲔᲡ შეიძლება შეიქნეს სამართალი სტატიის საგნათა, მაგრამ როდესაც უფალის ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲡ წინადადებაზეა ლაპარაკი, ეს განკერძოებული საგანია, რომელიც შეიძლება სხვათა შორის მოიხსენებოდეს. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ წინადადება ისევ ისე რჩება ხელ უხლებელი. ᲐᲥᲐᲛᲓᲘᲡ უფალის Დ—ის სამ სტატიაზე ხმა არავინ არ ამოიღო და ის იყო უკანასკნელი. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ არავინ ყურადღებას არ აქცევს, ან საჭიროთ არავინ არა ჰრაცხს ქართული წიგნების ბეჭდვასა საზოგადოთ, ან საკუთრათ ძველი წიგნების ბეჭდვასა, რომელსაც შეეხება უ. ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲡ წინადადება.

ᲩᲕᲔᲜ სრულებით წინაალმდეგის ჰაზრისა ვართ: იმდენი ლაპარაკი ყოფილა და არის ქართულ წიგნების ბეჭდვაზე საზოგადოებაში და ᲪᲝᲢᲐᲗ მწერლობაშიაც, რომ არ შეიძლება ᲞᲚ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ წინადადებას ყურადღება არ მიაქცეონ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ წარმატების მსურველთა.

ᲩᲕᲔᲜ არა გვსურს წარმოვთქვათ აზრი ძველის წიგნების ბეჭდვის სარგებლობაზე ანუ საᲕᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ, თუმცა ზოგს იქნება საჭირო ეგონოს ამ გვარის აზრის წამოთქმა. ᲩᲕᲔᲜ შევნიშნავთ მხოლოდ ᲞᲚᲐᲢᲝᲜ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ წინადადების გამოჩენას და ᲩᲕᲔᲜ ორიოდე აზრს წარმოვადგენთ ამ წინადადების მკვიდრათ ასრულებისათვის. ᲕᲔᲪᲓᲔᲑᲘ მოკლეთ გამოვთქვა ᲩᲔᲛᲘ აზრი, რომ თავი არ შეეაბეზრო, ზოგიერთ ᲩᲕᲔᲜ მწერლებსავით, რომელნიც გაზეთში გაბმენ ლაპარაკსა ფეიქრის ქსელსავითა.

ᲩᲕᲔᲜᲡ პატარა მწერლობაში დაიწყო ᲪᲝᲢᲐᲝᲓᲔ მოძრაობა 1860, ან და 61წ-დგან. ᲑᲔᲕᲠᲘ ლაპარაკი გაგვიგონია ქართული წიგნების გამოცემაზე. ᲔᲠᲗᲮᲘᲚ ლაპარაკი იყო კიდეცა სალიტერატურო საზოგადოების დაარსებაზე. ᲔᲡ ყოველივე გახმა და ჩაიშალა. ᲑᲝᲚᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, რომ მოხელობა, როგორც შენ გინდა, ისე ჩქარა არ დაისწავლებაო; მაგალითად, მჭედელმა უთხრა, რომ ორ წელიწადზე ადრე ვერ გასწავლი მჭედლობასაო, მეჭურჭლემ ერთი წლის ვადა დაუდვა, კალატოზმა ექვსი თვისა და სხვ.—რა გასაკვირველია, რომ ამოდენ ხანს ის ვერ მოითმენდა უ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ-ᲩᲘᲜᲝᲗ.—

ᲣᲔᲪᲠᲐᲓ ვილამაც დაუძახა იმას:

— ᲐᲥ ᲫᲝᲓᲘ, ᲩᲔᲛᲝ ᲨᲕᲘᲚᲝ, თუ შენ მეტად თავმოყვარე არა ხარ და ძლიერ გეჩქარება რაიმე ხელობის სწავლა, წამოდი ᲩᲔᲛᲗᲐᲜ. მე დაგასწავლი ისეთ ხელობას, რომ რვა დღეში შენ შენი თავის დარჩენა შეგეძლოს და შენით ლუკმა პურის მოპოვნა.

ᲣᲡᲣᲤᲛᲐ ასწია თავი და მიიხედა იქით, საიდამაც ეს ხმა მოესმა; იმან დაინახა მახლობლად ერთი პატარა, მომსხო, მხიარული სახის კაცი, რომელიც მუხლ-მოკეცილი წამომჯდარიყო სკამზე. ᲔᲡ იყო მეკალათე. ᲘᲡ ᲩᲐᲛᲯᲓᲐᲠᲘᲧᲝ ფერად-ფერად ᲭᲘᲚᲝᲤᲔᲑᲨᲘ და ᲑᲔᲬᲕᲔᲑᲨᲘ და თავის მარჯვე ხელებით სწნავდა თუ ᲭᲘᲚᲝᲤᲔᲑᲡ, თუ ლამაზ კალათებს, თუ ᲭᲘᲚᲝᲤᲘᲡ შლაპებს და სხვ. ამის ყაირათიანი მუშაობა ძლიერ სასიამოვნო სანახავი იყო.—

— ᲨᲔᲜ იქნები ᲩᲔᲛᲘ ოსტატი, უთხრა ᲣᲡᲣᲤᲛᲐ და ხელი ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲐ.—ᲗᲣ ორი დღის განმავლობაში მასწავლი შენ ხელობას, დარწმუნებული იყავი, რომ კარგათ დაგასაჩუქრებ! ᲯᲔᲠ ᲑᲔᲗ ეს მომიცია. ᲔᲡ თქვა და თან ორი ოქროს მანეთი გარდუგდო გაკვირვებულ მეკალათეს. ᲨᲐᲒᲘᲠᲓᲘ რომ ოსტატს ფულს აძლევდეს, ეს იშვიათი შემთხვევაა. მეკალათემ იმ წამს იფიქრა, რომ ეს ყმაწვილი კაცი უბრალო ვინმე არ არის, ეს უნდა იყოს გარდაცმული პრინცი, ან სხვა ვინმე-დიდი კაცი.—

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲐᲒᲘᲠᲓᲘ იმდონად მოეწონა და გულის-ყურიანი გამოდგა, რომ საღამომდი დაისწავლა გვარიანათ ᲭᲘᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ დაწვნა.

ᲐᲰᲐ, ᲩᲔᲛᲝ ᲨᲕᲘᲚᲝ! Უთხრა მეკალათემ, ეხ-

ᲐᲚᲘᲛ ხელიც არ მოჰკიდა ფულიან პარკსა და გულ-გრილად ჰკითხა ᲮᲣᲛᲐᲠᲐᲡ—რა გინდაო.

— ᲣᲖᲓᲔᲚᲝ მხეცო! Დაუყვირა ᲮᲣᲛᲐᲠᲐᲛ. ᲑᲐᲜᲐ არ გესმის, რას გეუბნები?! ᲤᲐᲨᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲡ შენი ქალი ᲪᲝᲚᲐᲓ მიჰყავს.—

— Rა ხელოსანია ᲤᲐᲨᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ? ჰკითხა ᲐᲚᲘᲐᲛ.

— Rა ხელოსანია?! ᲑᲐᲘᲛᲔᲝᲠᲐ ᲮᲣᲛᲐᲠᲐᲛ და გადიხარხარა. ᲝᲰ! შე ვირო შენ! განა ᲤᲐᲨᲐ შენსავით გლეხი გგონია, რომ იმუშაკოს! ᲑᲐᲜᲐ არ იცი, რომ საფაშოს შემოსავალის ათის თავი ᲤᲐᲨᲘᲡᲐᲐ? ᲑᲐᲜᲐ არ იცი, რომ იმ ორმოცი ცხვარიდან, რომელთაც შენ აძოვებ, ოთხი ᲤᲐᲨᲐᲡ ეკუთვნის, და რომ დანარჩენს ოცდა თექვსმეტს როცა უნდა მაშინ წაგართმევს?—

— მე ᲤᲐᲨᲐᲖᲔ არ გკითხავ! ᲑᲣᲚᲒᲠᲘᲚᲐᲓ უპასუხა ᲐᲚᲘᲐᲛ. ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ მშვიდობა და დღეგრძელობა მისცეს მის უწარჩინებულესობას! მე გკითხავ, რას აკეთებს ᲤᲐᲨᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ მეთქი? მეთოფე ხომ არ არის?

— Rარა, სულელო!

— მჭედელი?

— Rარც მჭედელი.

— Rარც ხუროა?

— Rარა, მეთქი.

— ᲘᲥᲜᲔᲑᲐ მეკირეა.

— Rარა, გეუბნები; ის დიდი კაცია, სულელო? ᲛᲐᲠᲢᲝ ᲚᲐᲠᲘᲑᲔᲑᲘ მუშაობენ ხოლმე, ეს არ იცი? ᲤᲐᲨᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ კი კეთილშობილი კაცია, ე. ი. ნაზი ხელების პატრონია და თავის ᲓᲦᲔᲨᲘ. Rარაფერს არ აკეთებს.

— ᲛᲐᲨ ᲩᲔᲛᲘ ᲥᲐᲚᲘ Rარ ᲔᲚᲘᲠᲡᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲡ! ᲗᲐᲔᲛᲝᲛᲬᲛᲝᲜᲔᲗ სთქვა ᲐᲚᲘᲐᲛ. მე ᲩᲔᲛ ᲥᲐᲚᲡ Rარასოდეს Rარ მივცემ ისეთ ᲥᲛᲐᲠᲡ, რომელსაც Rარ შეუძლია მისი დარჩენა! ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲤᲐᲨᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲛᲐ იცოდეს სხვა რამ ხელობა... ᲛᲙᲔᲠᲕᲐᲚᲘ ხომ Rარ Rარის?

— Rარა; უპასუხა ᲮᲣᲛᲐᲠᲐᲛ.

— Rარც მეჭურჭლეა?

— Rარა.

ᲛᲐᲨ დალაქი უნდა იყოს?

— Rარა მეთქი! Დაიღრიალა ᲙᲣᲖᲘᲐᲜᲛᲐ. ᲓᲐᲐᲜᲔᲑᲔ თავი ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲐᲡ, თორემ გეუბნები, გცემ! ᲬᲐᲓᲘ, დაუძახე შენ ქილს, Rარა მცალია.

— ᲩᲔᲛᲘ ᲥᲐᲚᲘ ვერ წამოვა; უპასუხა მწყემსმა; და თან დაუსტვინა ძაღლებს, რომელნიც მოცვივდნენ, მოუწვნენ გარშემო ᲐᲚᲘᲡ და დაუწყეს ღრენა ᲤᲐᲨᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲡ. ᲙᲣᲖᲘᲐᲜᲘ შეჯდა თავის ვირზე უჩვენა ᲐᲚᲘᲡ მუშტი და უთხრა: შე უჯინსო! მოიცადე, შენ მალე გაიგებ, რა არის ᲤᲐᲨᲘᲡ წინააღმდეგობა.—ᲮᲣᲛᲐᲠᲐ ძრიელ დაღონებული დაბრუნდა ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲨᲘ. ᲘᲛᲘᲗ ᲑᲔᲭᲓᲖᲔ ᲤᲐᲨᲐᲡ კიდეც იმა ეს ამბავი.—ᲔᲗᲧᲝᲑᲐ ის მწყემსი ᲩᲔᲛ ᲨᲕᲘᲚᲖᲔ უფრო სულელია; მაგრამ, ᲗᲣ გეᲘᲜᲘᲐ ᲣᲡᲣᲤ—მამა შენი ასრულებს თავის სიტყვასა. მე გავგზავნი მთებში ოთხს ცხენოსანს და თუ ნებით არა—ძალით მოვაყვანინებ ᲩᲔᲛᲡ სარძლოს. ᲛᲐᲛᲐ მისი კი მე უნდა დავაჩუმო. ᲐᲛ სიტყვების შემდეგ ᲤᲐᲨᲐᲛ ერთი ისეთი ნაირათ გაიქნია ხელი, ვითომ დიდი რამ საქმე გადაეწყვიტოს.

ᲓᲔᲓᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲗ ᲣᲡᲣᲤᲘ წამოდგა და სთხოვა მამას, რომ ამ საქმის გრიგება იმისთვის მიენდო. ᲐᲛ თხოვნის ასრულება ᲤᲐᲨᲐᲡ ეძნელებოდა. ᲘᲡ ფიქრობდა, შეიძლება ᲗᲕᲐᲚᲘᲡ-ᲩᲘᲜᲡ უყვარს თავის ბებერი მწყემსი; მაშინ პატარძალი მოჰყვებოდა ტირილს და ᲤᲐᲨᲐᲡ არ უნდოდა, რომ ხალისის მაგიერად, იმას დამწარებოდა თავის შვილის ქორწილი.

— Kარგი, სთქვა ᲤᲐᲨᲐᲛ. შენ გინდა მამაშენზე ჭკუიანი იყო; ეს ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ასეა. მაშ წადი და რაც გერჩიოს, გააკეთე. მე აღარ გაევრევი შენს საქმეში და თუ ბებერმა მწყემსმა შენ უარი გითხრა, მაშინ შენი სირცხვილი იყოს. მე ძრიელ მიამება რომ გნახო შენც ისე კუდ-ამოძუებული მოდიოდე იქიდამ, როგორც ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲣᲛᲐᲠᲐ.—

ᲣᲡᲣᲤᲛᲐ გაიღიმილა ამაზე. ᲘᲡ წინათვე დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა ამ საქმეში. Rოგორ შეიძლება, რომ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ-ᲩᲘᲜᲡ Rარ უყვარდეს ᲣᲡᲣᲤᲘ, თუ კი ᲣᲡᲣᲤᲡ უყვარს ᲗᲕᲐᲚᲘᲡ-ᲩᲘᲜᲘ?... ᲝᲪᲘ წლის ყმაწვილს კაცს ყოველთვის თავის თავის იმედი აქვს. ᲘᲭᲕᲔᲑᲘ და უიმედობა მაშინ ებადება კაცს თავში, როცა იმას რამდენჯერმე წაუმტვრევია ფეხები ცხოვრებაში.

ᲐᲚᲘᲐᲛ მიიღო ᲣᲡᲣᲤᲘ ისე, როგორც ᲤᲐᲨᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲡ ეკადრება; დაუმადლა პატივის-ცემისთვის, მაგრამ ქალის მიცემაზე კი გადაწყვეტილი უარი უთხრა. ᲣᲡᲣᲤᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ-ᲩᲘᲜᲘᲡ იმედი ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, მაგრამ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ-ᲩᲘᲜᲛᲐ ისიც არ იცოდა, რომ იმას თხოულობდენ.

ᲤᲐᲨᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ კუდ-ამოძუებილი ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ მთიდამ. Rა უნდა ექნა იმას? ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲨᲘ Rომ დაბრუნებულიყო, მამა სიცილს დაუწყებდა. ᲑᲐᲜᲐ უნდა დაეკარგა ᲗᲕᲐᲚᲘᲡ-ᲩᲘᲜᲘᲡ შერთვის იმედი? ᲐᲛᲐᲡ სიკვდილი ერჩია. ᲭᲘᲜᲘᲐᲜᲘ მწყემსის აზრის მეცველის იმედი ᲣᲡᲣᲤᲛᲐ დითი ხანია დაჰკარგა.—

ᲐᲛ ფიქრების დროს იმას დაებნა გზა და მიადგა ერთ ზეთის ხილის ტყეს, საიდანაც ᲩᲜᲓᲐ მოᲨᲝᲠᲔᲑᲘᲗ ერთი სოფელი. ᲣᲡᲣᲤᲡ ესმოდა იქაური ხმაურობა, ძაღლების ყეფა, მუშების სიმღერა და სხ.

ᲣᲔᲪᲠᲐᲓ იმას გაუელვა თავში ერთმა აზრმა. Rატომ არ ისწავლის ის რაიმე ხელობას? ᲑᲐᲜᲐ ძნელია ესა? ᲑᲐᲜᲐ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ-ᲩᲘᲜᲘ არა ღირს იმათ, რომ იმისათვის კაცმა დაიმდაბლოს თავი და შრომა გასწიოს? ᲣᲡᲣᲤᲛᲐ მიაბა ხეზე ცხენი; იქვე დასტოვა თოფ—იარაღი, ტანისამოსი, მიადგა ერთ გლეხის სახლს და შესჩივლა სახლის პატრონს, რომ ავაზაკებმა გამცარცვესო და იყიდა ერთი ხელი უბრალო ტანისამოსი; ჩაიცვა ეს ტანისამოსი, მივიდა გლეხებთან და სთხოვა ხან ერთს და ხან მეორეს, რომ შაგირდათ მიმიღეთო; ხელობა მინდა ვისწავლოვო.

ᲣᲡᲣᲤᲘ ისე მარჯვე და კარგი შესახედავი კაცი იყო, რომ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ დიდის სიამოვნებით უნდოდა იმის აყვანა, მაგრამ თვითონ ᲣᲡᲣᲤᲘ ვერ მიებარა იმათ, რადგან ოსტატები ეუᲐᲥᲐᲛᲝᲛᲓᲔ. ᲔᲡ შეიძლება შეიქნეს სამართალი სტატიის საგნათა, მაგრამ როდესაც უფალის ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲡ წინადადებაზეა ლაპარაკი, ეს განკერძოებული საგანია, რომელიც შეიძლება სხვათა შორის მოიხსენებოდეს. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ წინადადება ისევ ისე რჩება ხელ უხლებელი. ᲐᲥᲐᲛᲓᲘᲡ უფალის Დ—ის სამ სტატიაზე ხმა არავინ არ ამოიღო და ის იყო უკანასკნელი. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ არავინ ყურადღებას არ აქცევს, ან საჭიროთ არავინ არა ჰრაცხს ქართული წიგნების ბეჭდვასა საზოგადოთ, ან საკუთრათ ძველი წიგნების ბეჭდვასა, რომელსაც შეეხება უ. ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲡ წინადადება.

ᲩᲕᲔᲜ სრულებით წინაალმდეგის ჰაზრისა ვართ: იმდენი ლაპარაკი ყოფილა და არის ქართულ წიგნების ბეჭდვაზე საზოგადოებაში და ᲪᲝᲢᲐᲗ მწერლობაშიაც, რომ არ შეიძლება ᲞᲚ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ წინადადებას ყურადღება არ მიაქცეონ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ წარმატების მსურველთა.

ᲩᲕᲔᲜ არა გვსურს წარმოვთქვათ აზრი ძველის წიგნების ბეჭდვის სარგებლობაზე ანუ საᲕᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ, თუმცა ზოგს იქნება საჭირო ეგონოს ამ გვარის აზრის წამოთქმა. ᲩᲕᲔᲜ შევნიშნავთ მხოლოდ ᲞᲚᲐᲢᲝᲜ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ წინადადების გამოჩენას და ᲩᲕᲔᲜ ორიოდე აზრს წარმოვადგენთ ამ წინადადების მკვიდრათ ასრულებისათვის. ᲕᲔᲪᲓᲔᲑᲘ მოკლეთ გამოვთქვა ᲩᲔᲛᲘ აზრი, რომ თავი არ შეეაბეზრო, ზოგიერთ ᲩᲕᲔᲜ მწერლებსავით, რომელნიც გაზეთში გაბმენ ლაპარაკსა ფეიქრის ქსელსავითა.

ᲩᲕᲔᲜᲡ პატარა მწერლობაში დაიწყო ᲪᲝᲢᲐᲝᲓᲔ მოძრაობა 1860, ან და 61წ-დგან. ᲑᲔᲕᲠᲘ ლაპარაკი გაგვიგონია ქართული წიგნების გამოცემაზე. ᲔᲠᲗᲮᲘᲚ ლაპარაკი იყო კიდეცა სალიტერატურო საზოგადოების დაარსებაზე. ᲔᲡ ყოველივე გახმა და ჩაიშალა. ᲑᲝ-

ლოს რა ვაი ვაგლახით და რა ყოფით იმერეთში უფ. დიმიტრი ბაქრაძე შეუდგა „ალმასობის“ გამოცემის თადარიკსა. ამ წიგნის პირველი ნაწილის ბეჭდის შემდეგ უნდა გამოსულიყო მეორე, მასუკან „ლექსიკონი“ საბა ურბელიანისა. დღეის აქამომდე ერთი ნაწილი კალმასობისა ვნახეთ. უფ. ქერესელიძე აპირობდა საბა ურბელიანის ლექსიკონის გამოცემას და ჯერაც მოდის. შეეტყეთ, რომ შარშან ქუთათურებსაცა ძველი წიგნების გამოცემაზე ლაპარაკი ჰქონიათ. აქამდინ ლაპარაკი ლაპარაკათა რჩებოდა და ბოლო აღარ მოელო ამსა. ძველი წიგნების გამოცემაზე უფრო ძველი თაობა ლაპარაკობდა,— ლაპარაკობდა, მაშინ, როდესაც ახალი თაობა, არ იყო რომ ცოტაოდეს საქმესაც აკეთებდა წიგნების ბეჭდაში და საზოგადოთ ლიტერატურაში. ამ ახალ მწერლობაში ძველი თაობიდგანაც თითო ოროლა კაციც ერია, როგორც ნამდვილი და გულწრფელი მოსურნე ჩვენი მწერლობის წარმატებისა. (მაგალითად თ. ბრიგოლ ურბელიანი, დიმიტრი უიფანი და თ. ალექსანდრე ურბელიანი). ამ ორიოდე კაცებს გარდა, როგორცა ვთქვით, სხვანი განზე გადგნენ, არ ეწეოდნენ ახალ ლიტერატურას და პირ იქით ახალს მწერლებს ჰყვედრიდნენ და ეხლაცა ჰყვედრიან, რომ ქართული ენა წაახდინეთო, ენა ენას აღარა ჰგავსო, სანჭრაქული, ბაზრული ენა შემოგიქვეთ ლიტერატურაშიაო. ახალ თაობას თავისი საბუთები ჰქონდა თავისი თავის გასამართლებლათა და სხვათა შორის ისა, რომ საიდგან უნდა სცოდნოდა კარგათა ქართული ენა, როდესაც რომ ძველ წიგნებთგან ძალიან ცოტაა დაბეჭდილი და დაუბეჭდელი ძველი საშოვნელია, ლონის ძიება არ არის ძველ ენაში განვითარდეს ახალი მწერალი. თავიდგანვე დაწყებისას სასწავლებლებში მოწაფეს ლონის ძიება აქვს რუსული მწერლები გაიცნოს. იმავე სასწავლებელში თუმცა ქართულ ენას ასწავლიან, მაგრამ არც მასწავლებელს, არც მოსწავლეს არა აქვს საშუალი წაიკითხოს ქ-რთველი მწერლების თხზულებანი. მანამ ეს საშუალება არ იქნება, მანამდისინ ტყვილი იქნება ყოველივე საყვედური.—ჩვენ რომ არა ვთქვათ რა მეორე მხრით ძველი წიგნების ბეჭდვის საჭიროებაზე (მაგალითად ისტორიულ თხზულებაებისა) ამ ერთ მხარეს ბოლოს ძველი კაცები უნდა ჩაეფიქრებინა ძველი წიგნების ბეჭდვაზე. აქამდის მარტო ლაპარაკით თავდებოდა ყველა სამზადისი ბეჭდვაზე და ელოდნენ, რომ ერთი ღვთიანი კაცი გამოვიდესო და დაგვიბეჭდოს ქართული მწერლების წიგნებიო. დალოცვილები თვითონ კი ხელს არ ინძრევდნენ, ყველაფერს სხვისგან მოელოდნენ მამაპაპურ ღალასა და კულუხსავითა. ისინი არა ჰფიქრობდნენ, რომ თუ კაცს საქმის გაკეთება უნდა, სხვაზე კი არ უნდა მიაგდოს, არამედ თითონ იკისროს, თითონ იდვას იმ საქმის უღელი. ჩვენ არ ვიცით, რომ ძველ—თაობისაგან რამოდენიმე გამოჩენილი პირი საზოგადოებაში და ჩვენ ლიტერატურაში შეერთებულიყოს და თავს ედვას სამსახური სალიტერატურო საქმის წინ წაყვანისათვის. არა! პირ იქით ისინი ჩვენ ახალ თაობას დასცინოდნენ, ჰკიცხავდნენ და თითქმის იმათთან და იმათ ლიტერატურულ საქმესთან ერთობისა სცხვენოდათ და თაკილობდნენ. სალიტერატურო საქმე ბოლოს მდაბალ, უკადრის საქმეთ ჩასთვალეს. რასაკვირველია ზემოხსენებულ პირებში რამდენნიმე დარჩნენ, რომელთაც შინახის გულში პატიოსანი წმინდა გრძნობა, მაგრამ ისინი ისე ცოტანი იყვნენ რომ ერთმანეთისათვის შეეძლოთ ეთქვათ. ღრმა გულის ტკივილითა, რომ ამდენთა შორის:

მხოლოდღა დავრჩით: მე და შენ.

აი ეს მიზეზია, რომ ჩვენ უნდა შევნიშნოთ პლატონ იოსელიანის წინადადება. ამ საქმეში უმთავრესი მონაწილეობა ეკუთვნის თ. გრიგოლ ურბელიანს და სხვათა ქართული ენის მცოდნეთა, და წიგნების გამოცემის საქმე მინდობილი აქვს უფ. პლატონ იოსელიანს. პირველს იცნობენ როგორც საზოგადოების გამოჩენილს წევრსა და მწერალსა, რომელიც იმ მცირე პირთაგანია, ზემოთ რომ მოვიხსენეთ და მეორე არის ძველი ქართული ლიტერატურის მცოდნე. ეს პირნი მოიწვევენ მსურველთა შემოიტანონ ფული წიგნების დასაბეჭდათ და ვგონებ იმედიც უნდა ვიქონიოთ რომ თანა მგრძობელებს მოიპოვებს ეს აზრი, ოღონდ კი დაიწყობოდეს საქმე. რადგანაც საჭიროა, რომ მკვიდრათ წავიდეს ეს საქმე, და საშვილიშვილოა, ამიტომ ვგონებ კარგი იქნება, რომ წიგნების გამომცემელ რამდენიმე ვალდებულობა დაედვას საზოგადოების წინაშე. ამისთვის მე მოვიყვან რამდენსამე ჰაზრსა ანუ პიროობებსა, რომლის მსგავსსაც რუსეთში ასრულებდნენ ზოგნი გამომცემელნი.

1) წიგნის ბეჭდვაზე ხელის მომწერთა სიის განცხადება გაზეთში და ჟურნალებში.

2) წელიწადში ორჯელ (კათათვეში და იანვარში) ანგარიშის გამოცხადება ყოველ ნახევარი წლისა: რამდენი ეგზემპლიარი და რომელი წიგნი გამოიცა, რამდენი და რა გაიყიდა, რამდენი დარჩა გასასყიდათ, რამდენი ფული დ ისარჯა შემოვიდი და რა დარჩა.

ამაების გამოცხადება საჭიროა ერთით იმიტომ, რომ, სიკვდილ-სიცოცხლეა, გამომცემელის სიკვდილთან იმდენი შრომა გამომცემელისა და დანახარჯი ფულის შემომტანელთა არ დაკარგოს. მეორეთ საჭიროა საზოგადოებამ იცოდეს, რომ იმის შეტანილი ფული არ იკარგება და იცის სადაც არ[illegible]

ეს საფუძველი თუ მიღებულიქნება უეჭველია საზოგადოება თვალყურს ადევნებს წიგნების ბეჭდვის საქმესა და უფრო მონაწილეობას მიიღებს სალიტერატურო საქმეში. უფ. პლატონ იოსელიანი ზემოხსენებულ ანგარიშის წარმოდგენაზე არაფერს არ გვეუბნება; არაკია მოხსენებული: შეტანილი ფული უკანვე დაუბრუნდებათ შემტანთა თუ არა? რასაკვირველია უფ. იოსელიანის „სიტყვიდგანა“ არ სჩანს რა ფულის უკუბრუნებაზე ან ფულით ან წიგნით, მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ უფრო ცხადათ ვიცოდეთ.

ჩვენა გვსურს რომ უფ. პლატონმა იოსელიანმა და საქმის დამწყობთა სხვათა პირთა ყურადღება მიაქციონ ზემოხსენებულ წინადადებას, თუ ჰსურთ საზოგადოების მხრით მონაწილეობა და საქმის კარგათ და მტეიცეთ წარმატება.

ბოლოს ვისურვებთ, რომ ბეჭდვის საქმე მართლა ახდეს და იმედიცა გვაქვს გამოცხადებულის სახელებისაგან, რომ რაც უნდა დაბრკოლებაები აღმოსჩნდეს, ცრუთ აღარ დაბოლოვდება საქმე, როგორც აქამდისინ იყო ხოლმე.

აპრილის 29-ს.

პ. უ.—შვილი

წერილები პეტერბურღიდამ.

წერილი პირველი

I

„ჩვენ თითონ ვართ დამნაშავე და ჩვენ თითონვე დავბადეთ ჩამომავლობა, რომელიც გვდევნის და გვემდურის“.

„დროება“ 1866 წ. №36.

ამ უკანასკნელ წლებში, როდესაც სინათლის

ლა გათავდა შენი შაგირდობა. შენ თითონ მითხარი, დაიმსახურა შენმა ოსტატმა ის ფულები, რომელიც მიეცი, თუ არა? ეხლა, ხომ ხედავ, მზის ჩასვლის ჟამია; ამ დროს ყველა ათავებს მუშაობას და ჩამოიელიან ჩემი კარების წინა. წადი, დაიჭირე ხელში შენი დაწნული ჭილოფი და შეაძლიე გამველელებს, უსათუოთ ვინმე იყიდის. მე მგონია აქ ჭილოფში მოქცემენ ოთხ ფარას მაინცა და ჯერ ჯერობით შენთვის ესეც კარგია.—

უსუფი მოიქცა ისე, როგორც ოსტატმა ურჩია. პირველმავე შემვაჭრებელმა შეაძლია ჯერ სამი ფარა, მაგრამ ცოტა ხანს უკან ბევრი ღიჯინის და ლანძღვის შემდეგ, იმან ამოიღო დიდი გაქონილი ქისა და დაუთვალა ოთხი ფარა.

უსუფმა მის ნაცელად, რომ გამოერთმია ოთხი ფარა, პირ-იქით ერთი მანეთი შემვაჭრებელს მისცა, ერთი თუმანიც ოსტატს გადუგდო, წაველო ხელი თავის დაწნულ ჭილოფსა და გიჟივით სოფლიდან გაიქცა; მივარდა ცხენს, გაშალა თავის დაწნული ჭილოფი დადაწვა და ისე ტკბილად და უზრუნველად დაიძინა, როგორც თავის დღეში არ სძინებია.—

მაორეს დღეს დილით ალიამ რო მირეკა საძოვარ ადგილზე ცხვრები, უსუფი იქ დახვდა ხის ქვეშ წამოწოლილი.

შეხედა თუ არა ალიას, უსუფი წამოდგა მისცა ხელში თავის ხელით დაწნული ჭილოფი და უთხრა:

— საყვარელო მამავ! შენ მითხარი, რომ რაიმე ხელობა დამესწაველა. ეხლა მე ვიცი ჭილოფის დაწნა. აი ჩემი ხელობა!

— ეს ძალიან კარგი საქმეა, უთხრა ალიამ. თუმც კარგი დაწნული არ არის, მაგრამ ეტყობა ამის გამკეთებელს გულს მოდგინეთ უმუშავნია. რამდენს მოიგებ დღეში, რომ ერთი ამისთანა დაწნა და გაყიდო?—

— ოთხ ფარას, უპასუხა უსუფმა, მაგრამ რომ გავიწვრთნები, მაშინ, მგონია, დღეში ორსაც დავსწნამ ამისთანას.—

— რასაკვირველია ოთხი ფარა ძალიან ცოტა ფულია, მაგრამ დღეს ოთხი ფარა, ხვალ ოთხიც ზედ, ზეგ კიდევ ოთხი, ეს სულ თორმეტ ფარას შეადგენს; თორმეტი ფარა კი ფულია; ასე რომ ამ ხელობით კაცს შეუძლია დაირჩინოს თავი. მე რომ იმდენად ჭკუიანი ვყოფილიყავ და ფაშობის დროს მესწავლა ეს ხელობა, ეხლა მწყემსად არ ვიქნებოდი.

ამ სიტყვებმა ძალიან გააკვირვა იუსუფი. ალიამ უამბო იმას დაწერილებით თავის ცხოვრების ამბავი; ამით ალის უნდოდა შეეტყობინებია მომავალ სიძისათვის, რომ მისი თვალის ჩინი ამისთანა ბედის ღირსია.—

იმ დღეს ალიამ ადრე მირეკა ცხვრები ბინაზე. უსუპმა თითონ დაუმადლა ალის მასპინძელს ყურადღებისათვის და აჩუქა იმას ერთი ქისა ოქრო. როცა თვალის ჩინი მიიყვანეს უსუფთან, იმან თქვა, რომ შვილის ვალია მაშის ბრძანება ასრულოსო. ამბობენ, რომ ოსმალეთში ამ გვარ შემთხვევაში ქალები ყოველთვის ასე იქცევიანო და ყოველთვის მამის გამგონებელნი არიანო.

იმ საღამოსვე, ცოტა რო აგრილდა, ისინი წავიდნენ დამასკში.

მეორე დღის საღამოს ისინი მივიდნენ დამასკში. უსუფმა წარუდგინა თავის საცოლო დედას; რასაკვირველია იმას ძალიან იამა. დედამ ვერ მოითმინა რომ არ წაეყვანა ახალი სასძლო თავის ქმართან და არ გამოეცხადებინა მისთვის თვალის-ჩინის შთამომავლობა და თან გაუხსენა იმას მისი ჯიუტობა და აყვედრიდა.—

— ალლახ! ალლახ! დაიძახა ფაშამ და ჩამოისვა წვერებზე ხელი, რომ დაემალა სირცხვილი და ბრძნად სჩვენებოდა ცოლს... ნუ თუ შენ გგონია, ქალბატონო, რომ გამაკვირვებ რითმე-მე—სახელმწიფო საქმეების მმართველს, გამჭრიახე კაცს?! განა მოქცემდი მე თქვენ ამ გვირგვინების ნებას, რომ ადრე არ მცოდნოდა მე ეს საიდუმლო? დარწმუნებული იყავი, რომ ვაშამ დედა-მიწაზე ყველაფერი იცის!—იმწამვე წავიდა ფაშა თავის კაბინეტში და დასწერა ხოვნა ხონთქართან. ის თხოვდა ეპატიებინა ალისათვის, რადგან ეგონა, რომ განრისხულ ფაშის განათესაევებისათვის ხონთქარი მეც გამირისხდებაო. მარტო სიყმაწვილეს უყვარს სიცოცხლეში რომანები; ფაშა კი ბრძენი და გამოცდილი კაცი იყო; იმას არ უნდოდა, რომ მისს სიცოცხლეში ფაშობა ჩამოერთმიათ იმისათვის.—

ამბობენ, შეიტყო თუ არა ხონთქარმა ეს ამბავი, იმწამს გაგზავნაო სირიაში ხომალდი ადრენდელი ბაღდადის ფაშის სტამბოლში მოსაყვანათ. ალია, ძონძებით შემოსილი და ჯოხით ხელში შემოიყვანეს ხონთქრის სასახლეში და მთელი ნასადილევი იმან შეაქცია ხონთქარი თავის მუსაიფით და გადასავალის ამბებით. გაათავა თუ არა ალიამ თავის მოთხრობა, ხონთქარმა აჩუქა მას თავისი ქურქი. ფაშა ხონთქარმა გახადა მწყემსად; ეხლა მისს უმაღლესობას უნდოდა ხელმეორედ გაკვირვება მთელი ქვეყანისა და მწყემსი ისევ ფაშად გადაექცია. ალია დაუვარდა ფეხებ ქვეშ ხონთქარს და სთხოვდა, რომ ააშოროს ეს პატივი; იმას ეშინოდა ამისთანა მძიმე ვალდებულების კისრობისა; ის უფრო ბედნიერი იქნება, როცა უკანასკნელ ჟამს წყნარად და უშფოთველად გაატარებს.

ალის გამბედაობა გაუკვირდა ყველა იქ მყოფთ. ხონთქარმა კი გაიღიმილა.

— დიდება ღმერთსა! დაიძახა იმან. თორმეტი წლის განმავლობაში მე ამას პირველს ვხედავ, რომელიც ამისთანა ადგილის მიღებაზე უარს ამბობს. შენი ნებაა, ალი, მაგრამ, გთხოვ, მიიღო ჩემგან საჩუქრად ათასი ქისა. ხელ ცარიელი არავინ არ უნდა გავიდეს ჩემი სასახლიდან.

ალია დაბრუნდა დამასკში, იყიდა ერთი ბაღი, რომელიც სავსე იყო ლიმონით, ფორთოქლით, ჭერამით და სხვ. ხეხილებით და ვაზით; აქ მუშაობაში ატარებდა ის თავის სიცოცხლეს. ყოველს საღამოს დაწვებოდა ხოლმე ალია დაღლილი და დამშვიდებული გულით, და ყოველ დილას ადგებოდა მხნეთ და კმაყოფილი გულით.

თვალის ჩინს ჰყავდა სამი შვილი; სამივე იმაზე უფრო მშვენიერები იყვნენ. იმათ გაზრდისათვის ზრუნავდა მათი პაპა—ალია. სამივეს ასწავლა ბალოსნობა და ამას გარდა კიდევ რაიმე ხელობა.—რათა შთაებეჭდა მათ გულში ის ჭეშმარიტება, (რომ კაცს არასოდეს არ უნდა ეთაკილებოდეს მუშაობა), რომელიც მან სცნა თავის უბედურობის დროს, ალიმ აღმოსჭრა სახლის და ბაღის კედლებზე ყორანის ამ საგნის შესახები საუკეთესო სიტყვები, და ქვეით მოაწერა თავის ღრმა აზროვანი შემდეგი სიტყვები: მ უ შ ა ო ბ ა ა რ ი ს ყ ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს ს ა კ მ ა ო ს ა უ ნ ჯ ე.—თ უ ხ ე ლ ე ბ ს მ უ შ ა ო ბ ი თ შ ე ი ქ ც ე ვ, მ ა შ ი ნ ა ღ ა რ მ ო გ ი ნ დ ე ბ ა მ ა თ ი გ ა შ ვ ე რ ა მ ა თ ხ ო ვ რ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს. — მ ა რ ტ ო მ ა შ ი ნ ს ც ე მ შ ე ნ პ ა ტ ი ვ ს ს ხ ვ ი ს შ ე ძ ე ნ ი ლ ს დ ა ს ხ ვ ი ს შ რ ო მ ა ს, რ ო ც ა შ ე ი ტ ყ ო ბ ე რ თ ი ფ ა რ ი ს მ ო გ ე ბ ა ც რ ა ძ ნ ე ლ ი ა. — შ რ ო მ ა მ ო გ ვ ა ნ ი ჭ ე ბ ს ჩ ვ ე ნ ს ი ხ ა რ უ ლ ს, ს ი ბ რ ძ ნ ე ს დ ა ტ ა ნ მ თ ე ლ ო ბ ა ს. — ვ ი ნ ც მ უ შ ა ო ბ ს, ი მ ა ს თ ა ვ ი ს დ ღ ე შ ი ა რ მ ო ს წ ყ ი ნ დ ე ბ ა“.

ამ რიგათ იზდებოდნენ სამი თვალის-ჩინის შვილები. სამივე შემდეგ გახდნენ ფაშები. ისარგებლეს იმათ პაპის დარიგებით, თუ არა? მე მგონია, რომ კი, თუმცა ოსმალური მატიანები ამაზედ არაფერს არ ამბობენ. უმაწვილობაში განაკვეთი კაცს თავის დღეში არ დაავიწყდება. ეხლანდელი ჩვენი ცუდი და კარგი ყოფაქცევის მიზეზი ჩვენი აღზდაა. ქეთილ-გონიერნო კაცებო! დამეთანხმენით, რომ ხშირად კაცის ბოროტება და უკეთურობა ცუდათ გაზდის შედეგია.—

შუქმა გარმოჰკრა საქართველოს, როდესაც კეთილ მოქმედმა გარეგანმა ძალამ შეანძრია და დაიწყო თხრა იმ დამპალ საძირკვლისა, რომელზედაც დამყარებული იყო ჩვენი ცხოვრება, ესე იგი, როდესაც პირველად გამოიცა საქართველოში მმართებლობის „მანიფესტი“, რომელიც აცხადებდა, რომ გლეხები ყმობიდგან უნდა განთავისუფლდნენო,—ჩვენმა საზოგადოებამ, მანამდის მძინარემ, უცბად გამოიღვიძა, მოიფშვნიტა ნამძინარევი თვალები და გაოცებით დაიწყო აქეთ იქით ყურება? მაგრამ, როდესაც ყველანი დარწმუნდნენ მასში, რომ „დღეს ის არ არის, რაც გუშინ იყო“, რომ მოსვენებულთ და უსაქმურთ მებატონეებს ელევათ ის „დაულეველი განძი“, რომელსაც შეადგენდა სულიერი არსება—მონა; როდესაც ყველამ იგრძნო ძალა და მოქმედება რეფორმისა, მაშინ საზოგადოება შეირყა და პირველ შთაბეჭდილებიდამ ჩავარდა რაღაც გამოუთქელ და განუსაზღვრელ მდგომარეობაში

„ემადლობ მაღალსა ღმერთსა და ხელმწიფესა, რომ მან მომასწრო ის ღდე, როდესაც მე თვითონ შემიძლია დავსტკბე იმ ლუკმა პურითა, რომლისთვისაც ელვრი მრავალს მხურვალე ოფლსა!“—ღაღადებდა ახლად განთავისუფლებული მუშაკაძე და რაღაც გამოუთქმელ გრძნობით შეტრფოდა მომავალს; იმ მომავალს, როდესაც ისინი უნდა გამხდარიყვნენ ადამიანი და არა მონა ადამიანისა, როგორიც მანამდის იყვნენ.

რეფორმამ de facto გაათავა თავისი კეთილი მოქმედება საქართველოში. გლეხები განთავისუფლდნენ მონებიდგან; თუმცა კიდევ დარჩათ მათ დროებით სამსახური ბატონებისადმი, მაგრამ მაინც კიდევ გამოვიდნენ იმ მდგომარეობისაგან, რომელიც შეუსაბამო იყო კაცობრიობისათვის და რომლის სახელი არის მონება. საზოგადოებამ, პირველად გაოცებულმა, მშვიდათ და ზოგან სიხარულით შეეგება გლეხების განთავისუფლებას. მართალია, „თათქარიძეებს პირველად არ იამათ,რომ მათ განძს ართმევენ, მაგრამ ბოლოს ისინიც დამშვიდნენ და დაკმაყოფილდნენ, როდესაც დარწმუნდნენ, რომ აქ არც წვადი დაიწვება, არც შამფური ე ი. თუმცა მათ,თათქარიძეებს, გლეხებს ართმევენ, მაგრამ თითო გლეხში ეძლევათ ოცდა ხუთ-ხუთი მანეთი, რომელიც შეუძლიათ მოიხმარონ, როგორც უნდათ, და თუ შემოელევათ ეს ფულები, მაშინ კი თავიანთ კუჭისათვის თვითონვე იზრუნონ.

გლეხების განთავისუფლებამ —ჩვენ ნათლად დაგვანახა, რომ ჩვენი ცხოვრება და ეკონომიური დაწყობილობა სრულებით უნდა გამოიცვალოს, რომ

ბანჰქრონენ დღენი შვებისა,
როს მზათ გექონდა სიამე,

და დაუბრუნებლივ წარვიდნენ ის დრონი, როდესაც ერთის მხრით ჩვენ ძილის და ალაველრდის ყვირილის მეტს არას ვაკეთებდით და მეორე მხრით კი მთელი მილიონი ხალხი ოფლში იღვროდა და იწურებოდა იმისთვის, რომ ჩვენ გვძინებოდა და გვეძახნა „ალაველრდი“! ახლა თვით დროება და ახლანდელი მდგომარეობა მოითხოვს, რომ აზნაურობამ თვითონ იზრუნოს თავის თავისათვის, გაუმჯობესოს თავის მატერიალური და გონებრივი ცხოვრება და, მისი ვალია, მიაქციოს ყურადღება და ზრუნვა—იმ ხალხს, რომელიც აქამდის მისთვის იმყოფებოდა სიბნელეში,—

და წმინდა სიტყვა უშიშარად განაგდოს ხალხში.

ბოროტთ საკლავად . . . . . .

ის პირველი წმინდა სიტყვა, ის „სამკურნალო მალამო“, რომელიც უნდა მიეცეს ხალხს არის განათლების გავრცელება და ხალხის კეთილდღეობაზედ ზრუნვა.

1867 წ. „დროებაში“ შეგეხვდებოდა ხოლმე ხანდის-ხან კორრესპონდენციები, საიდგანაც ეტყობილობდით, რომ ზოგიერთ სოფლებში გახსნეს, ანუ იხსნება სასოფლო შკოლები, პურის და ღვინის საზოგადო მაღაზიები; კვალად ამ დროსვე გახსნეს ზოგიერთ ქალაქებში კერძოობითი სასწავლებლები; უფრო ადრე (1866 წ.) თფილისის და ქუთაისის თავად-აზნაურობა ცდილობდა დაეფუძნა ბანკი. ჩვენ ეს ცნობები იმისთვის კი არ მოვიყვანეთ აქ, რომ მკითხველს ვაჩვენოთ, ვითომც მოხსენებული ფაქტები შეადგენდნენ იმ „სამკურნალო მალამოს“, რომელიც უნდა მიეცეს საზოგადოთ ხალხს განათლებისათვის. ჩვენ გვინდოდა მხოლოდ გვეჩვენებინა, რომ მას აქეთ, რაც გლეხები გაანთავისუფლეს და ამის გამო ძველი ეკონომიური დაწყობილება მხარისა გამოიცვალა, ჩვენმა საზოგადოებამაც გამოიღვიძა, იგრძნო თავისი შერყეული ცხოვრების მდგომარეობა და დაიწყო თვალ-ახვეული ძებნა გზისა, რომლითაც თ ვის ეკონომიური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. პირველ შეხედვით საზოგადოებამ ამოირჩია კარგი გზა; მისთვის საჭირო იყო ბანკი და დაიწყო ცდა, რომ დაეფუძნა ის; სწავლის და განათლების საჭიროება მან თითქმის ნათლად დაინახა და დაიწყო შვილების ზრდა, შკოლების ხსნა და სხ.

ასრულა საზოგადოებამ ყველა ის, რის ასრულების სურვილი ჰქონდა და თითქოც ცდილობდა, თუ არა, ან როგორ ასრულა—ეს სულ სხვა კითხვაა; ზემოთ მოყვანილ ფაქტიდამ ცხადათ სჩანს მხოლოდ ის, რომ საზოგადოება მოძრაობს და, სადაც მოძრაობაა—იქ ყოველთვის სიცოცხლეც არის.

II.

ეხლა მოვილაპარაკოთ იმაზედ თუ რა მდგომარეობაში იყო ამ დროს ჩვენი ლიტერატურა, ან რა განვლენა ჰქონდა იმას ჩვენ საზოგადოებაზედ.—

ლიტერატურა არის და უნდა იყოს საზოგადოების გამომხატველი, მისი სურვილის და მოთხოვნილების გამომთქმელი. როგორც ხომალდის საჭე უჩვენებს გზას მარტოდ აღელვებულ ზღვაში მომცურავ ხომალდსა, აგრეთვე ლიტერატურა უნდა იყოს საზოგადოების და მთელი ხალხის წინამძღოლი, ის ჭეშმარიტების ლამპარით უჩვენებს ერს უმჯობეს ცხოვრების გზასა. იმის ვალია დაწვრილებით გამოიკვლიოს ყოველი, რითაც ინტერესობს რომელიმე დროს საზოგადოება და რომელიც ეხება ერს, მის მატერიალურს და გონებრივ ცხოვრესას. თუ ჩვენ გვსურს რომ შევიტყოთ რომელიმე ერის მდგომარეობა,მისი პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების მსვლელობა, ერთის სიტყვით, რომ მივიღოთ სრული ცნობა სხვა და სხვა ერთ არსებობაზედ, ჩვენ უნდა მივმართოთ იმ ერის ლიტერატურას და იქიდგან შეგვიძლია მივიღოთ სრული პასუხი ჩვენი სურვილის დასაკმაყოფილებლად. ამ გვარად გვაქვს მიღებული ცნობები უწინდელ ხალხებზედ, რომელნიც ცხოვრებდნენ ათი და ოცი საუკუნეს წინად.

მკითხველს გაუკვირდება, რომ მე ამისთანა უბრალო საგნებზედ ვლაპარაკობ მას და უხსნი ლიტერატურის მნიშვნელობას მაშინ, როდესაც ეს უბრალო ჭეშმარიტება ყველასათვის ცხადია და, მაშასადამე, თვით მკითხველისათვისაც. საქმეც ეს არის, ჩემო მკითხველო, რომ ჩვენი საზოგადოების უმეტესს ნაწილს სრულიად არ ქონდა ამ უბრალო ჭეშმარიტების გაგება და ფიქრობდა, რომ ლიტერატურა, ანუ, როგორც მწიგნობრულად ამბობენ, სიტყვიერება, ადამიანის გასართობლად ჰსუფევსო და ყველა ეს წიგნების ბეჭდვა და ჟურნალების გამოცემა უსაქმო კაცების ხელობა არისო.

ამ გვარი ცრუ ჰაზრი და სჯა ჩვენი საზოგადოებისა ბეჭდვის შესახებ ამტკიცებს ერთის მხრით იმას, რომ ჩვენი საზოგადოების უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ ორი-სამი წლის წინეთ ისე უმეცარი და გაუხსნელი იყო, რომ სრულიად არ ესმოდა უმთავრესი თვისი მოთხოვნილება და მეორე მხრით, რასაკვირველია, აქედამ ადვილად შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რა ლიტერატურაც უნდა ჰქონდეს იმ საზოგადოებას, რომელიც ეპყრობოდა მას, როგორც ადამიანის გამართობელ საგანს.

რასაკვირველია, ჩვენ არაფერი ლიტერატურა არ გექონდა. ჩვენ გვყავდა მომღერალი—პოეტები, რომელნიც თავის სიმღერებით, „მთვარით“, „დილით“ და სხ. ამისთანა ტრფიალ ლექსებით უტკბობდნენ გულსა და ყოვლის ფრით კმაყოფილს ჩვენ საზოგადოებასა; ჩვენ გვყვანდა quasi—რომანისტები, რომელნიც სხვა და სხვა ორიგინალურ და ნათარგმნ რომანებით საზოგადოებას არ უმართავდენ ზნეობას; ბოლოს ჩვენ გვქონდა მაშინდელი ბეჭდვის წარმომადგენელი „ცისკარი“, რომელიც ჰსუფევდა ნამეტნავად იმისთვის, რომ ებეჭდა სხვა და სხვა სიმღერები და ბაიათები, ზღაპრები და გულის დამატკბობელი ამბები და მოთხრობები და სხ. ჩვენ აქ „ცისკარზედ და უწინდელ მწერლებზედ a priori არა ვსჯით;იმის დასარწმუნებლად შეგვიძლია გაეგზავნოთ „დროების“ მკითხველი 1859—63 წლის „ცისკრის“ ნუმრებში, სადაც ის ბევრს ფაქტებს მონახამს ჩვენი სიტყვების დასამტკიცებლად. მართლადაც რომ გადავფურცლოთ მაშინდელი „ცისკრის“ ნუმრები, რაებს არ მოვნახავთ შიგა? აიღეთ 1860 წ. „ცისკარი“ და თქვენ წინ წარმოგიდგებათ მეჯლიში, სადაც ივანე ქერესელიძე უმასპინძლდებოდა თავის სტუმრებს (თანამშრომელებს) და ქებას ასხამდა ყველას, ვინც კი მის ჟურნალს ხელს უმართავდა. უ. ქერესელიძე კმაყოფილი იყო თავის ჟურნალისა; ამაყად ნუგეშობდა ის რომ ჩვენი სიტყვიერება მდიდრდებაო და საზოგადოებაში განათლებას ვავრცელებთო. მართალია, იმავე „ცისკარში“ ხანდის-ხან ცის მანანასავით ჰაზრიანი თხზულება გამოჩნდებოდა ხოლმე; მათ თავის ღირსება ახლაც არ დაუკარგავთ. მაგრამ ჩვენ აქ ვლაპარაკობთ საზოგადოთ „ცისკრის“ მიმართულებაზედ.—ერთის სიტყვით, საზოგადოებას ეძინა და ლიტერატურაც მას „ნანას“ დამღეროდა.

ამ სამწუხარო და უნუგეშო ლიტერატურის და საზოგადოების ერთმანეთში დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოღებოდა მაშინ, როდესაც თვითონ საზოგადოების ცხოვრების მსვლელობაში მოხდებოდა ცვლილება, რომელსაც უნდა დაებადა მასში სხვა მოთხოვნილებანი და ეჩვენებინა სულ სხვა ცხოვრების გზა. უკანასკნელმა რეფორმებმა გამოიყვანეს საზოგადოება იმ ჩინეთურ უძრაობიდამ; საზოგადოება განცხოველდა. ამ საზოგადო მოძრაობამვე განაცხოველა ჩვენი ლიტერატურაც და 1866 წ. დაბადა გაზეთი „დროება“, რომელმაც მიიღო სხვა მიმართულება და დაიწყო ხელის-ხელ მოქმედება ერთად საზოგადოებასთან. ასრეევ დაარსდა შარშან „სასოფლო გაზეთი“.

სამი წელიწადია მას აქეთ, რაც საზოგადოება ცდილობს დააწესოს ბანკი.

სამი წელიწადია მას აქეთ, რაც საზოგადოებამ გამოიჩინა სურვილი სასოფლო შკოლების დაფუძნებისა სოფლებში. ბვაქვს ახლა სასოფლო შკოლები? ან რაერთი?

რომ მკითხველს გავცეთ პასუხი, ჩვენ უნდა მივმართოთ 1866—68 წ. „დროებას“ და იქ მოვნახოთ მასალები ჩვენი კითხვების გამოსაკვლევად.

მაგრამ მკითხველი ამბობს, რომ „ამ დალოცვილის შვილს თავისი წერილი ფილიპეს, ჭლიკვით გაუგძელებია და გათავებას არ აპირობს ჯერ კიდევაო“! მართალი ბძანდება, კითხვისაგან დაღლილი, პატივცემული მკითხველი! თუმც ჯერ ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ აქ კი გავჩერდები, რომ ჩემი კალამი და მკითხველიც პატარა დავასვენო და შემდეგში კიდევ მოვითხოვ მკითხველის ყურადღებას.—

(ბაგრძელება იქნება).

სხვა და სხვა ამბავი.

ერთი ბოგემიელი გაზეთი გვაცნობებს, რომ ქაშევაროვის ქალი, რომელმანც გაათავა პეტერბურღის მედიკო-ხირურგიის აკადემიაში კურსი და დაიჭირა სადოქტორო ეგზამენები, იმყოფება ეხლა პრაგაში (ბოგემიის სატახტო ქალაქში) და ისმენს იქაურ სტუდენტებთან ერთად პროფესსორი ზეიფერტის ლექციებს ბებიობაზე.

საკვაჭრო ცნობები.

აპრილის 24-ს მოსკოვის ბირჟაზე გაიყიდა:

ნუხური აბრეშუმი	— 210 მ.	ფუთი.	
დერბენდის ენდრო	— 11 მ.	50 კ.	—
ბუხარის ბამბა	— — 12 მ.	20 კ.	—
ამერიკის ბამბა	— — 14 მ.	90 კ.	—

საბიბლიოგრაფიო

განცხადება

სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი „მნათობი“ დაიბეჭდა და 2 მაისს დაერიგებათ თბილისის ხელის-მომწერთა; ხოლო გარეშე ხელის მომწერთ გაეგზავნებათ პირველის ფოჩტით.

ამ 1869 წ. „მნათობი“ იწყობა მარტიდგან და მთელ ამ წელიწადში გამოვა ათი წიგნი, იმავე პროგრამმით, რომელიც უკვე იყო გამოცხადებული.

ფასი ამ წელიწადში, ესე იგი, ათი წიგნისა—რვა მანეთია; ნახევარ წლისა (ხუთი წიგ.) ოთხი და ათი შაური: თითო წიგნის სივრცე შვიდიდგან ათ თაბახამდეა.

რედაქცია იმყოფება ქუკიაში, დავით ავალოვის სახლებში. თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი შემდეგია: Въ Тифлисъ, въ контору редакціи грузинскаго журнала „МНАТОБИ“, въ Кукахъ, въ домѣ Д. Авалова.

პეტერბურგში იბეჭდება და ამ აპრილის ბოლოს საქართველოსაკენ გამოიგზავნება:

კაცია ადამიანი,

მოთხრობა

ილ. ჭავჭავაძისა (მ. ჯიმშერიძისა).

კერძოოობითი განცხადება.

პეტერბურღის უნივერსიტეტში ნამყოფს სტუდენტს ჰსურს ურროკები აძლიოს. სოფელში ან დაჩაში წასვლის თანახმაც არის.—ადრესსი: მელიქიშვილის და კ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ.—

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1-го мая, 1869 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. დროებითი რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.